სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ნავთობის და გაზის რესურსების XI-B სალიცენზიო ბლოკზე, (საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონები) შპს „ბლოკ ოფერეითინგ კომპანი“-ს დაკვეთით კონსულტანტი კომპანია შპს „გეო კონსალტინგი“ ამზადებს ამზადებს ნავთობისა და გაზის შემკრები პუნქტის - პატარძეული აჯგდ 4-ის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს“ (გზშ), რომელიც შეიცავს ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ანალიზს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ს ა ჯ ა რ ო გ ა ნ ხ ი ლ ვ ა გაიმართება 2026 წლის 21 დეკემბერს 14 საათზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლისთვის. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ფეისბუქ გვერდზე (ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო/State Agency of Oil and Gas), საგარეჯოსა (www.sagarejo.gov.ge) და გარდაბნის (https://gardabani.gov.ge/) მუნიციპალიტეტების ვებ გვერდებზე.

საზოგადოებას უფლება აქვს გზშ-ის ანგარიშის განთავსებიდან 40 სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით (წერილობით; საჯარო განხილვის დროს; ელექტრონული საშუალებით, თუ ის იძლევა ავტორისა და გამომგზავნის სარწმუნო იდენტიფიცირების საშუალებას).

საჯარო განხილვა ღიაა და საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მასში.